

XIX—XX საუკუნეები, განსაკუთრებით კი ჩვენი დრო, მთელ მსოფლიოში ქალაქების დიდი განვითარების ხანაა. ქალაქების ზრდის სისწრაფე და უჩვეულო მასშტაბი ურთულეს სოციალურ, ეკონომიურ, გეგმიურ, მხატვრულსა და ფსიქოლოგიურ პრობლემებს აყენებს კაცობრიობის წინაშე.

ერთი ამ პრობლემათაგანია ისტორიული ქალაქებისა და უბნების გადარჩენა, მათი დაცვა და მოვლა, მათი შენახვა ახალ მშენებლობასთან, მათთვის ნამდვილი ადგილისა და ფუნქციის მოძიება ქალაქების ახალ ცხოვრებაში.

რაც დრო გადის, ეს პრობლემა სულ უფრო და უფრო მწვავედება, ახალი ქალაქებისა და უბნების ზრდის კანონები ურყევი და ულმობელია: ცხოვრების პირობები იცვლება, იცვლება ადამიანის მოთხოვნილებაც, გეგმიური აღჭურვილობაც. ადამიანს ახალ, კეთილმოწყობილ სახლებში სურს ცხოვრება; მოზღვაებული ტრანსპორტი ძველი ქუჩა-

(გაგრძელება იხ. 8 გვ.)



„ტყე შეევუნახოთ შვილებსა, შვილებსა!“ — ღილინებდა ტყის მეგობარი და მუხის, წიფლის, რცხილის ამოხეთქილ ნერვებს ძირებს უთოხნიდა.


— თქვენა ხართ სამადაშვილი, კალაურის სატყეოს უფროსი? — ჰკითხა ვიღაც უცნობმა.

— დიას, — უპასუხა სამადაშვილმა და თოხი დაკოჰრილ მუხას მიაყუდა.

— თქვენთან წერილი გამომატანა გურჯაანის სატყეო მეურნეობის დირექტორმა დ. კერესელიძემ, — უცნობმა კერესელიძის ფირმანი გაუწოდა: „ამ ბარათის მომტანს მიეცე ერთი მანქანა შეშა... ფულს მე გადავიხდი, ეს კაცი მშენებლობის საბუთების გაფორმებაში გვეხმარებოდეს!“

სამადაშვილს არ ჰქონდა კითხვა დასრულებული, რომ სამგლოვიარო დეპეშასავით მიაყარეს დ. კერესელიძის ახალ-ახალი ფირმანები: „შეშა მიეცე!“, „ამ ბარათის მომტანს მოუსმინე!“ ე. სამადაშვილიც მოსმენით კი უსმენდა, მაგრამ უკანონო ფირმანებით დატვირთულ უარით ისტუმრებდა. მას ჯერ ისიც ვერ მოეწონებინა, რომ ტყისმცველმა კაკიაშვილმა უნებართვოდ 65,52 კუბმეტრი ხე მოჭრა, დირექტორმა დ. კერესელიძემ კი როგორც ახალგაზრდა სპეციალისტს აპატია „უნებლიე შეცდომა“.

იქნება ამის მსგავსი „უნებლიე შეცდომა“ უნდა ეპატიებინა ე. სამადაშვილსაც პროფესიონალი ტყის ქურდის ა. გ. კაკიაშვილისათვის, როცა მას კალაურის სატყეოში წაასწრეს წიფლის ხეების ჭრის დროს, ჩამოართვეს ცული, მან კი იუკადრისა განიარაღება და ექსპერტის დასკვნა წარუდგინა გურჯაანის რაიმილიციას: „...მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთოს შემსივნება... ყელის მიდამოში ნაჭდვეი ზომით 2,5-0,5 სმ...“ (სტილი დაცულია) და ა. შ. მოკლედ, „მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლის გარეშე...“ ეპ, კაკიაშვილო, კაკიაშვილო! შენ უნდა მოხვედრილიყავი ჰამურაბის კანონების დროს და ვნახავდით: ქურდობაზე შეგერჩებოდა თუ არა ეგ მანკიერი მარჯვენა! თქვენ კი, ექსპერტიზის ქურუმებო, ნეტავ მაშინ რა დას-



კვნას გასცემდით „დაზარალებულ“ კაკიაშვილზე.

1967 წლის მაისის თვეში კალაურის სატყეოს აგარაკზე — „ნაზვავებში“ კლასიფიცირებული იყო 93 კუბმეტრი სამასალე ხე და 597 კუბმეტრი საშეშე ხე. ტყის საჭრელი ბილეთით № 93 დ—0003631 დაუწყიათ ჭრა. როცა ხეების ჭრა დაუმთავრებიათ, დ. კერესელიძეს ზეპირი ფირმანით მოუთხოვია ე. სამადაშვილისათვის: „დაწერე აქტი, რომ „ნაზვავებში“ არ არსებობდა 93 კუბმეტრი სამასალე ხე“. სამადაშვილს სიყალბე არ ჩაუდენია. მაშინ კერესელიძეს დაუვალვია სხვისთვის, რომ შეესწორებინა ჭრის ბილეთი კომისიის აქტის გარეშე. მართლაც, შეასწორეს ჭრის ბილეთი, 93 კუბმეტრი სამასალე ხე ილუზიონისტის ხელოვნებით გადაიყვანეს საშეშე ხეში. ასეთი შემთხვევა არც ერთ სამეცნიერო დაწესებულებას არ ახსოვს, რომ 93 კუბმეტრი სამასალე ხე მოჭრის შემდეგ მთლიანად გარდაისახოს საშეშედ. ამის შემდეგ დაიწყო ე. სამადაშვილზე ანონიმური წერილების წერა, მისი შევიწროება, გურჯაანის გაზეთში ბრალდება. სამადაშვილმა სატყეო კომიტეტს აცნობა, რომ გურჯაანის სოფ. კარდანახის საბჭოთა მეურნეობის ეროზირებულ მიწებზე 90 ჰა-ზე გაშენებული ტყის კულტურები ნადგურდება მოუვლელობითა და უყურადღებობით. ეს ყურად არავინ იღო! ჰოდა, 1969 წლიდან 90 ჰექტარზე გაშენებული 704.800 ნერგი 1974 წლისათვის სრულიად განადგურდა, მიწაში უკვალოდ დაიმარხა გაწეული შრომა და 30.000 მანეთის სახელმწიფო თანხა, ეროზირებული მიწები კი ეროზირებულ მიწებად დარჩა! შეისმინეთ, ტყის მეგობარნო!

1972 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გ. ლაშქარაშვილისა და სხვათა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გამოიტანა № 2—255 დადგენილება:

„ტყის წესების დარღვევებზე შედგებილი 6888 მან. და 232 მანეთის ოდენობის აქტების გადამალვისათვის, მოსახლეობის ნაწილზე შეშის გაცემის, მიწის დამზადების ღირებულების ზედმეტ გადახდევინებისათვის, ტყის კულტურების მუშების ნაწილზე ხელფასის გაუცემლობისათვის, გურჯაანის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობისადმი დაუსაბუთებელი და არა სწორი ბრალდებების წაყენების და მათი პირადი შეურაცხყოფისათვის გურჯაანის სატყეო მეურნეობის კალაურის სატყეოს უფროსი ამხ. ე. სამადაშვილი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან“. ჯერ იურიდიულად კი არ ჩანს, რომ 6888 მანეთი სამადაშვილმა გადაძალა თუ დ. კერესელიძემ არ მისცა სასმართლოში მსვლელობა!

საინტერესოა, რატომ გამორჩათ, რომ 232 მანეთის აქტი სასამართლომ 1972 წლის 17 მარტს განიხილა, დამნაშავეს დააკისრა 232 მანეთის გადახდა. აქტის დაგვიანებაში კი დაადანაშაულა გურჯაანის სატყეო მეურნეობის დირექცია.

არ დასტურდება მუშებზე ხელფასის გაუცემლობაც. მუშებს ხელფასის უწყისზე ხელი აქვთ მოწერილი. გამოდის, რომ ხელფასი მათ მიუღიათ. გურჯაანის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი დ. კერესელიძე კი სხვადასხვა უხეში დარღვევებისათვის გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

1972 წლიდან ზემოთ მოყვანილ დანაშაულობებს სწავლობდა შინაგან საქმეთა გურჯაანის რაიგანყოფილება. დაასრულეს კიდევ საქმე, ორ ტომად, რომელიც 1974 წელს ოქტომბრის თვეში გურჯაანის რაიპროკურატურამ სცნო არასრულფასოვანად და დააბრუნა შემდგომი გამოძიებისათვის. სად იყვნენ აქამდე! ტყის მოვლა-პატრონობა ხომ ყველა ჩვენგანის ვალია.

ავთანდილ აღიშვილი

— ნუციკო, გამარჯობა, გენაცვალე! სად დაიკარგე გოგო! ასე უნდა სკოლის მეგობრის დავიწყება?! გამოცვლილხარ... დამშვენებულხარ. ეს თმები ვისთან შეიღებე ასე ლამაზად?

— პარიკია, მარსელში ვიყიდე ესპანელი მეზღვაური-საგან.

— როგორ, საფრანგეთში იყავი?

— ჰმ, არ იცოდი? მარსელი, ბორდო... ან რა კულტურა, ან რა ცივილიზაცია, ქალი და კაცი ერთნაირად იცვამს.

ტურისტული სეზონის წინ

— ეგ თბილისშიც მასეა.


— როგორ, აქაც დაიწყეს კაცებმა კაბებით სიარული?... პარიზში, ბეწვეულის მაღაზიაში, „დუბლიონკა“ ვნახე, ფული მქონდა, მაგრამ ვერ ამოვიღე, მთელი ჯგუფი გარს მეხვია, თანაც ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი და, ხომ იცი, რამდენი ინტრიგანია ამ ქვეყანაზე... სამაგიეროდ იტალიაში, იცოცხლე ვიჭერე გული...

ჩვენი ტურისტული ჯგუფი ძველი რომის კედლების დასათვალიერებლად მიდიოდა. მე თავი მოვივადმყოფე და სასტუმროში დავრჩი, მერე „ჩორნი ხოლიდან“ გავიპარე იქაურ „ტალკუჩკაზე“. სანტა მარია! ვნახე, მაგრამ რა ვნახე: ეს ამერიკული „სუპერები“, ეს ქალის ნაირ-ნაირი ჭინები, ქალის „პლაში“ ვნახე, რომ დაკეცავდი, კაკლის ნაქუჭში ეტეოდა...

„დუბლიონკა“ ჩამოვიტანე ისეთი, ასი თუმანი მაძლია თვითონ სპეკულანტმა!

უენიას ვენაცვალე, ახლა მეჩქარება, საბუთების გასამზადებლად გავრბივარ, ჰმარმა შვეიცარიის „პუტიოვკა“ ჩამიწყო, გავივლო, თვალს წყალს დავალევივებ, ამბობენ, ზედ გამოჭრილი ბაჟურიანიაო... „ადიუ, მონ პეწი“! სალამოს შემომიარე, იტალიურ სერვისს გაჩვენებ!

თამაზ ჰეიშვილი



(გაგრძელება)

ბის გაფართოებასა და ახალი მაგისტრალების გაყვანას, ე. ი. ძველი განაშენიანების ნაწილის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს. ჩვენს ქალაქებში ვერ მოვითმენთ ჯურღმულების არსებობას, უნდა გაიზარდოს მწვანე მასივები, გაშენდეს დიდი ბაღები და ხეივანები, გაიწმინდოს ჰაერი — დღევანდელი ადამიანი შუა საუკუნეების პირობებში-ხომ ვერ იცხოვრებს!

მაგრამ ამ პროგრესთან ერთად ჩნდება საშიშროება, რომ ზრდის სისწრაფე, სტანდარტიზაციისა და ტიპობრივი მშენებლობის გარდუვალობა კოლორიტს დაუკარგავს ქალაქებს, ერთმანეთს დაამსგავსებს მათ. და სწორედ დღეს, სწორედ ამ პირობებში ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ ძველ უბნებს, რომლებიც ყოველ ქალაქს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სახეს ანიჭებს, ყოველი ქალაქის განუმეორებლობას ქმნის.

ასეა ძველ თბილისშიაც... ჩვენი დედაქალაქი ჩვენს თვალწინ იზრდება, მზრებს შლის, ვრცელდება, მაღლდება და მშვენიერდება... და მაინც... თბილისი რაღა თბილისი იქნება მეტეხისა და ნარიყალას, კალას, ისნისა და მთაწმინდის უბნების გარეშე, იმ ვიწრო შუკებისა და ხისაივნის ძველებური სახლების გარეშე, რომლებიც მხოლოდ თბილისურია, იმ მოზარატებული მოაჯირებისა, თაღებისა და რიკულეების გარეშე, რომელთაც ქართველი ოსტატები უსაზღვრო სიყვარულით ქმნიდნენ!

ჩვენი სახელმწიფო თავისი არსებობის პირობები დღეებიდანვე ზრუნავს კულტურის ძეგლებზე, რომლებიც იშთავითვე სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. შეკეთდა და აღდგა ძველი თბილისის რამდენიმე ძეგლიც — მეტეხის ტაძარი, ანჩისხატი, „ზარაფხანა“. მაგრამ ეს მაინც არ კმარა, იმიტომ რომ მოსავლელი, დასაცავი და აღსადგენია არა მარტო ცალკეული შენობები, არამედ მთელი ძველი თბილისი ერთიანად, განუყოფლად, მისი ქუჩებითა და აღმართ-დამართებით, მისი ძველი კიბეებით, სახლებით, ნათურებით, იმიტომ რომ სწორედ ეს ერთიანობაა ძველი უბნების ნამდვილ სილამაზეს, მათს „სულს“ რომ ქმნის.

ეს უბნები კი შველას ითხოვს... აგერ ჩვენს თვალწინ გაქრა ძველი რიყე — ეს ცხოვრებამ მოითხოვა: იქ ახალი სპორტული კომპლექსი და პარკი შეიქმნება... მაგრამ არის მთელი უბნები, რომლებიც შეგვიძლია და მოვალენიც ვართ, შევინარჩუნოთ, როგორც ნაერძად. რა დღეშია იქაური სახლები? ზოგ ქუჩაში თითის წვერებზე თუ არ იარე, იქაურობა ზუსტულასავე დაიშლება... ბევრი სახლი დამახინჯებულია უღალათო მინაშენებით, ან უმსგავსოდაა შედგებილი. დღეს-დღეობით, ძალიან, რომ გინდოდეს, მაინც გაგიძნელებდა ამ სახლებისთვის თავდაპირველი სახის შენარჩუნება: დალპა ძველი რიკული, ძველი სახეებიანი მოაჯირი... ვინ შეიწუხებს თავს, რომ ისინი იმავე სახის რიკულითა და მოაჯირით შეცვალოს? ან სად არის ხელოსანი, რომელიც იმ სახლებს გამოჭრის, ან იმ რიკულს გამოთლის? და აქედენ უბრალო ფიცარს, თუნუქს, პლასტიკატებს... გული მოგიკვდება ამ დაქერბულ-დაწებებულ აივნებს, დაღრეცილ სვეტებსა და კიბეებს რომ ნახავ...

მივხედოთ ძველ თბილისს! გამოვაცხადოთ იგი ნაერძად, შევქმნათ მისთვის საგანგებო რეჟიმი, დავაარსოთ საგანგებო სარესტავრაციო სახელოსნო, რომელიც იზრუნებს მისთვის და შეუნარჩუნებს ძველ თბილისს მის განუმეორებელ სილამაზეს!

ძველი თბილისი შველას ითხოვს და რაც უფრო მაღე ვუშველით მას, მით უფრო მეტს და უფრო ადვილად გადავარჩენთ, გადავარჩენთ ამ ფასდაუდებელ განძს, ურომლისოდაც თბილისი მაინც ვეღარ ითბილისებს, როგორც არ უნდა ვაშენოთ და ვამშვენოთ იგი... ამ განძის დაღუპვას კი ვერც ჩვენ შევეგუებით და ვერც მომავალი თაობები გვაპატიებენ.



— რატომაც ეს ძროხა გამხდარი?
— შიშურას უფრთხილდება.



— საშვი წარმოაღიწმეთ!
— ათი წელია ამ ინსტიტუტში ვაბარებ და კიდეც საშვის მითხრე?



— თუ აღამიანის მნა მართლა გემის, ეს მანდარინი გამატანინ!



უშბისხელა მომაქვს ხონჩა, მომრვლია არწივეთი; არ მალატობს „ილბალ ხონჩა“, არც ჭანი და არც იმედი. წელი წელს რომ ემსგავსება, ხრიოკებიც ჰყვავიანო; ბევრი მახსოვს შენგან შვება, ძველი წელი, ხევიანო! ოფლი აღრეც დამიღვრია, ბედი კი არ გამეცარა; ჭადრის ქვეშ რომ ვაშლი ჰყრია, ვაშლის ქვეშაც არ ეყარა! ქორვაჭარმა შთანთქა ზოგი, სხვა—ქურდმა და ქრთამის გუდამ; „მოწყობს“ მივეც დანაზოგი... მოგელოდი ყველგან მუდამ! შემობრძანდი, შვების წელი, ხარ ოცნების თანაბარი! აგვიყვავე, შვების მცველი, საქართველოს მთა და ბარი! ვიცე, აღარ დაიშლება მენი მყარი საძირკველი და ბარაქით აივსება შენი სახლი საკვირველი. ახალ, ტურფა საქართველოს, ვასახელებთ ოფლის ღვრითა, — შევსვამთ ახალ სადღეგრძელოს ხარისა თუ ჭიხვის რქითა. ქვა არ არის ისე მყარი, არც მურყვამი, კლდეზე მდგარი, როგორც ჩვენი ხალხის ძმობა, როგორც ჩვენი წინსვლის გრძნობა. უშბისტოლა მომაქვს ხონჩა, მომაქვს სუნთქვა არწივეთის; ხალხიც ხონჩა, მახვშიც ხონჩა! — ვარ მესიტყვე ზღვა იმედის! ვლოცავ სამოლ დაფიცულებს, ყვლავ გვეაფოს ნარი, ქაცვი! მეველედ თუ არ დამიწუნებს, ვლოცავ მამულს სვანი კაცი!

აბაბი გელოვანი

ფ რ ა ზ ე ბ ი

— ისეთი ზარმაცი იყო, სიმამრის წელიც კი წყდებოდა.

— ბედნიერება კი არ უნდა გაწელო, უნდა გააგრძელო.

— შურიან თვალს სიკეთის წამწამებს აფარებდა.


ზაზა კაციაშვილი

ან ლ ა ზ ე ბ ი

ღირექტორი მუხის სავარძელში იჯდა და მაინც ამბობდნენ ტყემაღზე ზისო.

მონადირეს უთხრეს, თუ ღროის მოსაკლავად დადინარ, თოფი რად გინდაო.

ნ. იოსელიანი



— აბა, ჩემო მანასო, ხან ისე და ხან ასეო.

არ პარ მექრთავე!

არ მახსოვს ოდესმე ქრთამი ამელოს, ან ვინმეს მისი შემოთავაზება გაეზდოს ჩემთვის. წელზე ფეხს ვიდგამ, კაპიკს კაპიკზე ვაწებებ და ისე ვარჩენ ცოლ-შვილს. ერთი სიტყვით, მე და ქრთამი ძალიან შორსა ვართ ერთმანეთისაგან.

ერთ მშვენიერ დღეს შინ დამხვდი, ჩვენ რომ ვიცით, ის უნდა მოგიტანო, დაძრული ავტობუსიდან გადმომძახა გიორგევიჩმა. თურმე ჩვენი საუბრისთვის ყური მოუკრავს ვილაცას, ჩუმად ამღევენბია, ჩემი მისამართი გაუგია და „სადაც ჭერ არს“ იქ დაუჩქარა.

სალამოს ვარ წამოკოტრილებული ტახტზე და „ცოცხალი ვარ, ცოცხალს“ ვმღერის. ვილაცამ კარებზე დააკაკუნა.

— მოგიტანეთ, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ! — თქვა გიორგევიჩმა და ფულის დასტა მაგიდაზე დამიწყო. უჭრა გამოვალე და ფული შიგ შევაწყე. ჟღერ კარებზე საშინელი ბრაზუნი მოისმა. გავიღე და...

— სად გადამალე ფული? — მოკლედ, ცივად და მკაცრად მკითხა მილიციის მუშაკმა.

— ტელევიზორის ფულია, სიმამრი ვარ მისი! — გაეცინა გიორგევიჩს.

ერთი საათის შემდეგ ტელევიზორის ფულს „ვასელებდით“ მე, ჩემი სიმამრი და შეცდომაში შეყვანილი მუშაკი...

პანო ცინცაძე



— ალო! ალო! ძვირფასო ნიანგო!

— ღიახ, გისმენთ!

— თბილისის ოქტომბრის რაიონის კუკიის დასახლებაში მრავალი მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს. სამუშაოზე წესით საზოგადოებრივი ტრანსპორტით უნდა წავიდეთ და სახლშიც ასევე დავბრუნდეთ, მაგრამ სადაა ეს ტრანსპორტი? ტრამვაი ჩვენსკენ არ დადის და ტროლეიბუსი. დავგვრჩა ავტობუსი № 29, ისიც ახალი მთვარესავით გამოჩნდება და მერე ლოდინისაგან კისერი ჟირაფივით გვიგრძელდება. მეტრო ხომ სიზმარია... სიზმარი...

ყურმილში ოხვრა გაისმა და ხმა დაგვიანებული ავტობუსის მოტორივით ათუხთუხდა...

—: —: —

— ალო! ნიანგის რედაქციაა?

— ღიახ.

— ლენტეხის რაიონიდან გირეკავთ, სოფელ ლექსურის ხერგიანისა და სვანეთის ქუჩის მცხოვრებნი. ჩვენს ქუჩაში დღე ვერ გაივლი, აყრილ-დაყრილ, ქვებით სავსეა და შუაში ლელესგანაა ჩახრამული. ასეთ „კეთილმოწყობილ“ ქუჩას აქეთ-იქით ლამპიონები დაუყენეს, მაგრამ რად გვინდა, თუკი არ ანათებს? ვიცით შენი ხუმრობის ამბავი, ნიანგო, გულში გაგეცინება, შხელდაზე და უშაზე დადის ეს ხალხი და ერთი ოღროღრო ქუჩა რა გაუხდათო...

— მე სულაც არ მეცინება!..

—: —: —

— ნიანგის რედაქციას შეგვეერთეთ!

— ნიანგი გისმენთ!

— ქარელის რაიონის სოფელ ქვენაფლავიდანა ვართ.

— ღიახ.

— ფლავი ხომ კარგია, მაგრამ მის დასამზადებლად ბრინჯი და ქიშიშია საჭირო. ქიშიში თუ არა, ბრინჯი ხომ აუცილებელია. ჰოდა, ბრინჯის მოსავალი ჩვენს სოფელში არ მოდის, ამიტომ მაღაზიას უნდა მივაშუროთ.

— მერედა, მიაშურეთ, ვინ დაგიშალათ?

— კი ბატონო, მაგრამ მაღაზიას ბრინჯით გატენილი ტომარისხელა ბოჭლომი ადევს. ეს მაღაზია დილით, გათენებისას იღება, ვინც მოასწრებს რამის ყიდვას ერთ საათში, ხომ კარგი, მერე კი იკეტება და სალამომდე ასეა. სალამოსაც თუ ჩაუსაფრდები გამყიდველს, შეიძლება დაიჭირო...

— კი მაგრამ, ვინ ჩააფლავა მაგ მაღაზიაში ვაჭრობისა და დისციპლინის საქმე?

—: —: —

— ნიანგია?

— ღიახ, რედაქციაა!

— თბილისიდან, იაკობ ნიკოლაძის № 2/4 მაცხოვრებლები მოგმართავეთ თხოვნით, მიაწვდინოთ ჩვენი ხმა მათ, ვისაც უშუალოდ ეხება ეს საქმე.

— ბრძანეთ, გისმენთ!

— 1969 წლიდან მიმდინარეობს ჩვენს ქუჩაზე ცეკავშირის საცხოვრებელი სახლის მიშენება-დაშენება. ამ სახლისა და გარშემო სახლების მცხოვრებნი მოკლებული ვართ ნორმალურ ცხოვრების პირობებს, მშენებლობის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს.

გავვაგებინეთ, რა კავშირი აქვს ამ სახლს სურამის ციხესთან, ან ვის გვიჩვენებთ, ვინ ჩავატანოთ კედელში...



საქართველოს მსხვერპლი

ფეხით მოაირაღლე ინგლისელები, ეს XX საუკუნის უღვთოდ განწირული არსებანი, თავისი სიცოცხლის უსაფრთხოებას მეტნაკლებად უნდა უმადლოდნენ ლორდ მარპლზს, — დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის მინისტრს. თავისი მოღვაწეობა ბატონმა მინისტრმა იმით დაიწყო, რომ უღმრთოელი ომი გამოუცხადა ბახუსის მოტრფიალე მძღოლებს. „არც ერთი მთვრალი საჭესთან!“ — გრგვინვასავით დაირბა ინგლისის ქალაქებისა თუ სოფლების ქუჩებში სერ მარპლზის ლოზუნგი და ალბიონის მცხოვრებთა გულები მადლიერების გრძნობით აღავსო. მისი მტკიცე მოთხოვნით დაინერგა ტრანსპორტის პოლიციაში სპეციალური ტექნიკა, რომელიც ანალიზს უკეთებდა ამონასუნთქ ჰაერს და განსაზღვრავდა მასში ალკოჰოლის რაოდენობას. და აი, სწორედ ამ უღმრთოელმა ტექნიკამ არ დაინდო მისი მაღალი ღირსება ლორდი მარპლზი, როდესაც იგი პოლიციაში დააკავა და ამხილა...

ბატონი მინისტრი მთვრალი მართავდა თავის ავტომანქანას.

ბახუსმა ერთხელ კიდევ იზეიმა გამარჯვება!



ნახ. ზ. ლომიძისა




ეკლესია — რესპორანი

მამაო ფრედერიკ მავკოლინმა თხოვნით მიმართა კოლორადოს შტატის ხელისუფალთ, რათა დაერთოთ მისთვის ნება ეკლესიაში გაეყიდა ალკოჰოლიანი სასმელები. შიგ ეკლესიაში წმინდა მამაო ფრედერიკი რესტორნის გაღებას აპირებდა (რა ქნას ხუცესმა, ალბათ მრევლი თუ შემოაკლდა!..).

შტატის კომისიამ გასცა ლიცენზია და ზედ ახსნა-განმარტებაც მიიყიდა: არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც კრძალავდეს სპირტიანი სასმელებით ვაჭრობას „უფლის სამყოფელში“.

ჰოდა, ასე, კანონი კანონია.



ანალიზის გამგახუბელი

სტოკჰოლმში ორმა მამაკაცმა და ერთმა ქალბატონმა სახელმწიფო ლაბორატორიიდან გაიტაცეს სისხლის ანალიზისათვის გამზადებული სინჯარები. სისხლი კი პოლიციამ იმ მთვრალ მძღოლებს აუღო, რომელნიც წინა დღეს მზიარულ გუნებაზე დააკავეს. ამ კეთილისმსურველთ უნდოდათ ანალიზები დაებრუნებინათ პატრონებისათვის, რაღა თქმა უნდა, სოლიდური გასამრჯელოს ხარჯზე. ბიზნესი ჩაიშალა. პოლიციამ ეს „კეთილი“ აღამიანები დააპატიმრა. „მანი მეიკს მი გოუ!“ — ღალატებს მოარული ანდაზა, რაც ქართულად ასე ჟღერს — „ფული ყველაფერს ჩამადენინებს!“ — ნამდვილად ასე გამოდის...



... ცვივა ფუნტი
კანტა-კუნტით!